

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზი მშვიდობის ჟურნალისტიკაში

კონფლიქტურ სიტუაციებში ახალი ამბების დაბალანსებულად გადმოცემას ვნებათა დაცხრობის უნარი შესწევს. მშვიდობის ჟურნალისტიკაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზის მიზანია, მოხდეს ისეთი მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ჟურნალისტიკის წახალისება, რომელსაც წვლილი შეაქვს ნდობისა და მშვიდობის დამკვიდრებაში.

პრიზის მიზანია, აღიაროს და დააჯილდოს კონფლიქტური სიტუაციის მიმართ სენსიტიური ჟურნალისტური ნამუშევარი, ანუ ისეთი ნამუშევარი, რომელიც ჟურნალისტებს აძლევს შესაძლებლობას, კონფლიქტური სიტუაციები კონსტრუქციულად გააშუქონ. მშვიდობის დამკვიდრებისკენ მიმართული ჟურნალისტიკა ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ რა აერთიანებს ადამიანებს, და არა იმაზე თუ რა აცალკევებს მათ. ასეთი ჟურნალისტიკა მოვლენებს ფართო კონტექსტში განიხილავს და არა იზოლირებულად.

კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ადამიანები იმსახურებენ იმას, რომ მიიღონ იმ სიტუაციის სრული და ყოვლისმომცველი სურათი, რომელშიც ისინი იმყოფებიან. იმისათვის, რომ კონფლიქტის მხარეებს შორის გაიზარდოს ერთმანეთის მიმართ ნდობა, უნდა მოხდეს ყველანაირი თვალსაზრისის ასახვა.

ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტები მოახერხებენ წინასწარ შექმნილი შეხედულებების დაძლევას და რაც შეიძლება მრავალფეროვანი სურათის წარმოჩენას. მშვიდობის დამკვიდრებაზე მზრუნველ ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ უფრო ღრმა ცოდნა და აღქმა იმისა, თუ რა იწვევს კონფლიქტს, როგორ ვითარდება ის და როგორ მთავრდება. მათი საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ფართო საზოგადოებას მისცეს შესაძლებლობა განიხილოს და დააფასოს კონფლიქტის მოგვარების არამალადობრივი გზები.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზის მფლობელს გადაეცემა სტიპენდია, რომლის მეშვეობითაც მონაწილეობას მიიღებს პროგრამის “*Building Bridges/Building Capacity: Conflict Prevention in the South Caucasus*” ფარგლებში გათვალისწინებულ ერთთვიან ტრენინგში. ტრენინგი გაიმართება ლონდონში, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) სათავე ოფისში.

www.euprizejournalism.ge

მშვიდობის ჟურნალისტიკაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზის მინიჭება მოხდება მხოლოდ ერთი საუკეთესოდ დაბალანსებული და მიუკერძოებელი სტატიისთვის: ბეჭდურ ან ელექტრონულ მედიაში; სატელევიზიო და/ან რადიო რეპორტაჟისთვის; ვებგვერდზე, ბლოგზე ან სოციალურ მედიაში განთავსებული მასალისთვის; ახალი ამბების სააგენტოსთვის ან ელექტრონული გაზეთისთვის მომზადებული მასალისთვის.

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები

შეფასებას ჟიური მხოლოდ შემდეგ კრიტერიუმებს დაუდებს საფუძვლად:

1. **დაბალანსებულობა.** მიუკერძოებელი, დაინტერესების გარეშე, ფაქტებზე დაყრდნობით და ობიექტურად, სიღრმისეულად და ფართოდ გაშუქება; კონტექსტისა და წინაპირობების ამომწურავი ანალიზი; წყაროების შესატყვისობა (თანამდებობის პირები და რიგითი ადამიანები);
2. **ნეიტრალურობა** საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში;
3. **თემასთან შესატყვისობა** მედიის საშუალებით მშვიდობიანი დიალოგის დამყარების ხელშეწყობაში. ახალი ამბის აქტუალურობა; დროულობა და ინიციატივიანობა; შესატყვისობა საზოგადოებისთვის, ზემოქმედება საჯარო სამსახურზე, გავლენა საზოგადოებაზე ან მკითხველზე;
4. **კონფლიქტურ ზონებში მომუშავე ჟურნალისტებისთვის დადგენილი ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა.** ჟურნალისტების ვალდებულება - გადმოსცენ სიმართლე და შეამოწმონ წყაროები, სიზუსტე, მიუკერძოებლობა გაშუქებისას და ინიციატივიანობა გამოძიების წარმართვაში, საფუძვლიანობა გაშუქებისას, ინფორმაციის შეგროვებაზე, საკითხის კვლევის სიღრმეზე ან წყაროების რაოდენობაზე მითითება, გაშუქების სიღრმე, ახალი ინფორმაცია და დეტალები ფაქტების შესახებ.

ევროკავშირის სპეციალური პრიზი მშვიდობის ჟურნალისტიკაში 2014

წესები და პირობები

კონკურსში მონაწილეობის წესი:

1. კონკურსანტებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ერთ საპრიზო კატეგორიაში;
2. კონკურსანტების წარდგენა შეუძლიათ როგორც რედაქტორებს, ასევე არასამთავრობო/სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს;
3. კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განაცხადის ფორმის სრულად შევსების საფუძველზე. განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია კონკურსის ვებ გვერდზე: www.euprizejournalism.ge ან წარმომადგენლობის ვებ გვერდზე: <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>
4. მიიღება მხოლოდ ის საკონკურსო ნამუშევრები, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით;
6. კონკურსში დაიშვება ქართული, რუსულ ან ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული/ტრანსლირებული ნამუშევრები; საკონკურსო ნამუშევრები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზისთვის სამშვიდობო ჟურნალისტიკაში შესაძლოა იყოს ოსურ და აფხაზურ ენებზე.
7. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 3 ნოემბერი.
9. ევროკავშირი უფლებას იტოვებს გამოიყენოს საკონკურსო ნამუშევრები საპრეზენტაციო მასალებსა და სხვადასხვა მედიაში, ასევე, ხელახლა გამოაქვეყნოს ნამუშევრები კონკურსის „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში“ და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტების რეკლამირებისთვის;
10. კონკურსში დაიშვებიან მოქალაქეები 18 წლის ზევით
11. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენით, კონკურსის მონაწილეები ეთანხმებიან კონკურსის წესებსა და პირობებს;
12. ჟიურის წევრები, ევროკავშირისა და „ექშენ გლობალ კომუნიკეიშნის“ თანამშრომლები კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის პირობები:

1. საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ის ნამუშევარი, რომელსაც თან ახლავს შევსებული განაცხადის ფორმა და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - ა. წერილობითი საკონკურსო ნაშრომებისთვის, რომლებიც ბეჭდვით მედიაში ან ინტერნეტში გამოქვეყნდა:
 - A4 ფორმატი, დანომრილი გვერდებით;
 - ნაშრომის შემოტანა შესაძლებელია ფოსტით ან პირადად. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ნაშრომის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამი ეგზემპლარი, დაბეჭდილი იმ ენაზე, რომელზეც ის თავდაპირველად გამოქვეყნდა;
 - მითითებული უნდა იყოს იმ გაზეთის, ჟურნალის, გამოცემის ან ვებგვერდის
 - სახელწოდება, სადაც ნამუშევარი პირველად გამოქვეყნდა;
 - ნამუშევარს თან უნდა ახლდეს გამოქვეყნებული მასალის ორიგინალის ქსეროასლი ან ვებ-მისამართი, სადაც ნაშრომი განთავსებული.
 - ბ. საკონკურსო სატელევიზიო ჩანაწერისთვის:

- ნაშრომის შემოტანა შესაძლებელია ფოსტით ან პირადად. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამაუწყებლო ხარისხით ჩაწერილი ნამუშევრის სამი CD ან DVD ასლი.

- ნამუშევარი მიიღება იმ ენაზე, რომელზეც ის პირველად გამოქვეყნდა. ნამუშევარს უნდა ახლდეს სცენარი იმ ენაზე, რომელზეც ის პირველად გამოქვეყნდა.

- ნამუშევრის პირველად ტრანსლირების თარიღი და მაუწყებლის სახელწოდება

გ. საკონკურსო ნამუშევრებს ონლაინ მედიაში (ბლოგი, სოციალური მედია, საინფორმაციო სააგენტო, ონლაინ გაზეთი) უნდა ახლდეს:

- ონლაინ რესურსის 4-5 სკრინშოტი;

- წარდგენილი ნაშრომის ზუსტი სახელწოდება, ლინკი და მოკლე აღწერილობა;

- საპლიკაციო ფორმას ხელს უნდა აწერდეს იურიდიული სტატუსის მქონე პირი (დირექტორი, დამფუძნებელი, მფლობელი)

ყველა ნამუშევარი უნდა გამოიგზავნოს ფოსტით ან მოტანილი იქნეს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში შემდეგ მისამართზე :

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ჩხეიძის ქუჩა 38

0102 თბილისი, საქართველო?



Delegation of the European Union to Georgia



Application Form განაცხადის ფორმა

1. PERSONAL DETAILS (Please use capital letters)

1. პირადი მონაცემები

Title: ქალბატონი/ბატონი First Name სახელი Surname გვარი Date of Birth (dd/mm/yyyy) დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი) Nationality ეროვნება	
Telephone number: ტელეფონი E-mail: ელექტრონული ფოსტა	

2. PROFESSIONAL DETAILS (Please use capital letters)

2. მონაცემები სამუშაო ადგილის შესახებ

Name and address of the employer: დამსაქმებელი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი	Job title: თანამდებობა

3. მონაცემები სტატია/აუდიოვიდეო ნამუშევარზე/ვებ-გვერდზე

Date of Publication
გამოქვეყნების თარიღი

Name of the author
ავტორის ვინაობა

Name of the publisher
მედიის სახელწოდება

4. სამოტივაციო წერილი (გთხოვთ მიუთითოთ, თქვენი აზრით, რატომ აკმაყოფილებს მოცემული ჟურნალისტური ნამუშევარი კონკურსის წესებსა და პირობებს: +/- 500 სიტყვა)

5. Check list

5. ჩამონათვალი

1. Original application form is signed and date clearly indicated;
1. განაცხადის ფორმა (ორიგინალი) ხელმოწერილია და თარიღი ნათლად არის მითითებული
2. Three copies of the article/ Audio-visual material/and-or clear address of the website;
2. სტატიის/აუდიოვიზუალური ნამუშევრის და/ან ვებ-გვერდის მისამართის სამი ასლი

6. Declaration

6. განცხადება

I certify that the information contained on this application form is accurate and true. I give my consent to the processing, transfer and disclosure of all information submitted by me during the selection process and throughout any subsequent periods. I accept that the European Union reserves the right to use entries in presentation materials and with the media, as well as for entries to be reproduced in any form for the purpose of promoting the EU Journalism Prize in Georgia and the “Let’s Meet Europe” project in Georgia.

მე ვადასტურებ, რომ ამ განაცხადში მითითებული ინფორმაცია ზუსტია და სინამდვილეს შეესაბამება. ვიძლევი თანხმობას, წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების, გადაცემისა და გამჟღავნების შესახებ - როგორც შერჩევის პერიოდში, ისე ყველა შემდგომ ეტაპზე. ვეთანხმები, რომ ევროკავშირი უფლებამოსილია გამოიყენოს საკონკურსო ნამუშევრები საპრეზენტაციო მასალებში, და მედიასთან ურთიერთობისას და რომ ევროკავშირი იტოვებს უფლებას მოახდინოს ნამუშევრების რეპროდუქცია ნებისმიერი ფორმით, საქართველოში “ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში” და “ერთად შევეგებოთ ევროპას” პროექტების ხელშეწყობის მიზნით

Signature:

ხელმოწერა:

Date:

თარიღი:

7. Statement from Publisher

7. გამომცემლის განცხადება

Name of Publication

მედიასაშუალების სახელწოდება

Name and Position of the Publisher/Editor

გამომცემლის/რედაქტორის სახელი და თანამდებობა

I accept that the contestant has applied for the “EU Prize in Journalism in Georgia” with the entry presented with this application form. I certify that I am in a position to pass the rights for this publication and accept that the EU reserves the rights to use this material, for the purposes, stated above.

ვადასტურებ, რომ კონკურსანტი მონაწილეობს “ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში”

ნამუშევრით, რომელიც მითითებულია ამ განაცხადში. ვადასტურებ, რომ შემიძლია ამ ნამუშევრთან დაკავშირებული უფლებების გადაცემა და ვეთანხმები, რომ ევროკავშირს აქვს უფლება გამოიყენოს წარმოდგენილი ნამუშევარი ზემოხსენებული მიზნებისთვის.

Signature

ხელმოწერა

Date

თარიღი



ხშირად დასმული შეკითხვები - ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში, საქართველო 2014 წელი

1. როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა კონკურსში „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში“?
2. რამდენი საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა შემიძლია ერთ საპრიზო კატეგორიაში?
3. შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო ერთზე მეტ საპრიზო კატეგორიაში?
4. შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო, იმ შემთხვევაში თუ ჩემი საკონკურსო ნაშრომი არ არის ქართულ ენაზე შესრულებული?
5. შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო თუ ჩემი საკონკურსო ნაშრომი გამოქვეყნებულია საინფორმაციო საშუალებებით ცხინვალსა და სოხუმში?
6. შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო თუ ჩემი ნაშრომი მხოლოდ ინტერნეტშია გამოქვეყნებული?
7. როდის უნდა იყოს გამოქვეყნებული ჩემი საკონკურსო ნაშრომი, რომ მოვიპოვო კონკურსში მონაწილეობის უფლება?
8. მჭირდება თუ არა ჩემი რედაქტორის თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?
9. მჭირდება თუ არა ჩემი საკონკურსო ნაშრომების ასლების წარდგენა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?
10. ანკეტის შევსებისას, რა სახის ინფორმაცია უნდა მივაწოდო ევროკავშირის წარმომადგენლობას?
11. სად უნდა წარვადგინო ნაშრომები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?
12. შემიძლია თუ არა საჭირო საბუთები გამოვაგზავნო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?
13. როდის არის განაცხადის გაკეთების ბოლო ვადა?
14. შეზღუდულია თუ არა საკონკურსო ნამუშევრების მოცულობა?
15. უნდა წარვადგინო თუ არა ჩემი ნამუშევრების ანოტაცია?
16. ვინ არიან ჟიურის წევრები?
17. როდის გამოცხადდება გამარჯვებული?
18. რა პრიზებია დაწესებული გამარჯვებულებისთვის?
19. რატომ არის დაინტერესებული ევროკავშირი საქართველოში ჟურნალისტური კონკურსის ხელშეწყობით?
20. ვის უნდა დავუკავშირდე დამატებითი შეკითხვებისთვის?

შეკითხვა: როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა კონკურსში?

პასუხი: თქვენ უნდა წარმოადგინოთ საკონკურსო ნაშრომები და შევსებული სააპლიკაციო ფორმა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ [კონკურსის წესები](http://eeas.europa.eu/delegations/georgia) ვებ გვერდზე ან ბმულზე <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>



შეკითხვა: რამდენი საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა შემიძლია ერთ საპრიზო კატეგორიაში?

პასუხი: თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ერთი საკონკურსო ნამუშევრის წარდგენა ერთ საპრიზო კატეგორიაში.

შეკითხვა: შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო კონკურსის ერთზე მეტ საპრიზო კატეგორიაში?

პასუხი: თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ კონკურსის მხოლოდ ერთ საპრიზო კატეგორიაში.

შეკითხვა: შემიძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა მივიღო, თუ ჩემი საკონკურსო ნაშრომი არ არის ქართულ ენაზე გამოქვეყნებული?

პასუხი: დიახ, თქვენ შეგიძლიათ კონკურსში მონაწილეობის მიღება, თუ თქვენი ორიგინალი საკონკურსო ნამუშევრის ენა არ არის ქართული, რუსული ან ინგლისური. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა წარმოადგინოთ ნაშრომის თარგმანი და ანოტაცია ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. საკონკურსო ნაშრომები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზისთვის მშვიდობის ჟურნალისტიკაში შეიძლება იყოს ოსურ და აფხაზურ ენაზე.

შეკითხვა: შემიძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა მივიღო თუ ჩემი საკონკურსო ნაშრომი გამოქვეყნებულია საინფორმაციო საშუალებებით ცხინვალსა და სოხუმში?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ. გთხოვთ პასუხი იხილოთ ზემოთ.

შეკითხვა: შემიძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა მივიღო თუ ჩემი ნაშრომი მხოლოდ ინტერნეტშია გამოქვეყნებული?

პასუხი: დიახ, თქვენ შეგიძლიათ კონკურსის ყველა კატეგორიაში მონაწილეობის მიღება თუ თქვენი ნაშრომი ინტერნეტის მეშვეობით არის გამოქვეყნებული. ან: თუ თქვენი ნაშრომი გამოქვეყნებულია მხოლოდ ინტერნეტში, თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება საუკეთესო ვებგვერდის/ბლოგის/სოციალური მედიის საპრიზო კატეგორიაში.

შეკითხვა: კონკურსში მონაწილეობის უფლების მისაღებად როდის უნდა იყოს გამოქვეყნებული ჩემი საკონკურსო ნაშრომი?

პასუხი: კონკურსში განიხილება ის ნამუშევრები, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 ოქტომბრამდე.

შეკითხვა: საჭიროა თუ არა ჩემი რედაქტორის თანხმობა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

პასუხი: სააპლიკაციო ფორმაში თქვენმა რედაქტორმა ხელი უნდა მოაწეროს განაცხადს, რითაც თქვენ კონკურსში მონაწილეობის უფლება მოგენიჭებათ.



შეკითხვა: საჭიროა თუ არა ჩემი საკონკურსო ნაშრომების ასლების წარდგენა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

პასუხი: აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ა. ბეჭდვით მედიასა ან ინტერნეტში გამოქვეყნებული საკონკურსო ნამუშევრებისთვის – 3 ასლი ორიგინალის ენაზე; ბ. რადიო ან სატელევიზიო საკონკურსო ნამუშევრისთვის - 3 კომპაქტ დისკი ან DVD სამაუწყებლო ხარისხის ჩაწერილი ფაილებით, ასევე სინოფსისი/სცენარი. გ. სოციალური მედიის ან საინფორმაციო სააგენტოს/ონლაინ გაზეთის წარდგენის შემთხვევაში ნამუშევრებს უნდა ახლდეს 4-5 სქრინშოტი, დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ კონკურსის წესები ვებგვერდზე: www.euprizejournalism.ge ან შემდეგ ბმულზე <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>

შეკითხვა: ანკეტის შევსებისას, რა სახის ინფორმაცია უნდა მივაწოდო ევროკავშირის წარმომადგენლობას?

პასუხი: კონკურსის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შევსებული სააპლიკაციო ფორმა და ჟურნალისტური საკონკურსო ნაშრომი (გამოქვეყნებული ბეჭდვით ან ონლაინ მედიაში ან გადაცემული რადიო-ტელევიზიით), ასევე თანდართული უნდა იყოს ნაშრომის ანოტაცია ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ კონკურსის წესები შემდეგ ბმულზე <http://eeas.europa.eu/delegations/georgia>

შეკითხვა: სად უნდა წარვადგინო ნაშრომები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

პასუხი: ნაშრომები უნდა მოიტანოთ ან გამოაგზავნოთ ჩვეულებრივი ფოსტით შემდეგ მისამართზე: საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა, ნინო ჩხეიძის 38, 0102 თბილისი, საქართველო.

შეკითხვა: შემიძლება თუ არა საჭირო საბუთები გამოვაგზავნო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

პასუხი: არა, მხოლოდ ადგილზე ჩაბარებული ან ჩვეულებრივი ფოსტით გამოგზავნილი ნაშრომები განიხილება ჟიურის მიერ.

შეკითხვა: როდის არის განაცხადის შეტანის ბოლო ვადა?

პასუხი: განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 2013 წლის 4 ნოემბერი.

შეკითხვა: შეზღუდულია თუ არა საკონკურსო ნამუშევრის მოცულობა?

პასუხი: საპრიზო კატეგორიისთვის “საუკეთესო საგამომძიებლო სტატია ან ნარკვევი” ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5,000 სიტყვას.

შეკითხვა: უნდა წარვადგინო თუ არა ჩემი ნამუშევრის ანოტაცია?



პასუხი: სატელევიზიო ნამუშევრის წარდგენის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ ანოტაცია/სინოფსისი/სცენარი ორიგინალის ენაზე (ქართული, რუსული ან ინგლისური).

შეკითხვა: ვინ არიან ჟიურის წევრები?

პასუხი: კონკურსანტების ნაშრომებს განიხილავს შვიდი დამოუკიდებელი წევრისგან შემდგარი ჟიური. ჟიურის წევრები იქნებიან საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება როგორც ჟურნალისტურ საქმიანობაში, ასევე დემოკრატიის განვითარებასა და ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში. ჟიურის წევრების ვინაობა მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიისთვის გახდება ცნობილი.

შეკითხვა: როდის გამოცხადდება გამარჯვებული?

პასუხი: კონკურსის ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში 2013 გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2013 წლის დეკემბერში, დაჯილდოების ცერემონიაზე. ცერემონიალის ზუსტი თარიღი დასახელდება ნოემბრის ბოლოს.

შეკითხვა: რა პრიზებია დაწესებული გამარჯვებულებისთვის?

პასუხი: თითოეული კატეგორიის გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრიზი 3,500 ლარის ოდენობით და ევროკავშირის ბროლის ჯილდო. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრიზის მფლობელს მშვიდობის ჟურნალისტიკაში გადაეცემა 5000 ევროს ღირებულების მქონე ვაუჩერი, რითიც მას საშალება ექნება გაემგზავროს ლონდონში ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის ერთთვიან ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

შეკითხვა: რატომ არის დაინტერესებული ევროკავშირი საქართველოში ჟურნალისტური კონკურსის ხელშეწყობით?

პასუხი: ევროკავშირი მოწოდებულია საქართველოში ხელი შეუწყოს სიტყვის თავისუფლებასა და პროფესიონალური ჟურნალისტიკის განვითარებას. ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში - უპრეცედენტო კონკურსი საქართველოში, აღიარებს ჟურნალისტურ ნამუშევრებს, რომელთაც წვლილი შეიტანეს ევროკავშირის ღირებულებების უკეთ გაგებაში, და ასახავს ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტებს.

შეკითხვა: ვის უნდა დაუკავშირდე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად?

პასუხი: დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით მაია ჩიტაიას შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე maia.chitaia@actionprgroup.com



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სპეციალური პრიზის შესახებ მშვიდობის
ჟურნალისტიკაში დაგვიკავშირდით: press@eumm.eu ან დაგვირეკეთ +995 591 227 069

INSTITUTE FOR
WAR & PEACE REPORTING



ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

www.iwpr.net

მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის

I. ვალდებულება გაერკვე კონფლიქტში:

- ვალდებულები ვართ გამოვიკვლიოთ და გავიგოთ კონფლიქტის არსი და მისი მოგვარების გზები მანამ, სანამ დავიწყებთ მის გაშუქებას.
- უნდა გავარკვეოთ, თუ როგორ განვითარდა კონფლიქტი და მისი გადაჭრის რა გზები შეიძლება არსებობდეს; საჭიროა გვქონდეს წარმოდგენა „ომის კანონების“, კონფლიქტოლოგიისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესების შესახებ.
- იგივე წესი მოქმედებს სპეციალიზებული/დარგობრივი საკითხების გაშუქებისას:
 - მაგალითად, მედიცინასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ჩვენ წინასწარ ვეცნობით ლიტერატურას კონკრეტული სამეცნიერო მიმართულების ან ტექნოლოგიების შესახებ.
 - შესაბამისად, რატომ უნდა ხდებოდეს კონფლიქტების გაშუქება სხვაგვარად?

II. ვალდებულება გააშუქო სამართლიანად:

- ვალდებულები ვართ კონფლიქტი გავაშუქოთ სამართლიანად და დავიცვათ ბალანსი.
 - ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კონფლიქტის დროს მოხდეს ყველა მნიშვნელოვანი კომპლექსური საკითხის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების თუ ქვეჯგუფების შეხედულებების გაშუქება.
 - იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ვანიჭებთ უპირატესობას, ჩვენ, როგორც ჟურნალისტები ვალდებულები ვართ ამის შესახებ ნათლად გავაგებინოთ მკითხველს.
- ისევე როგორც პირველი წესის შემთხვევაში, ეს წესიც ნებისმიერი სფეროს გაშუქებას ეხება.

III. ვალდებულება გააშუქო კონფლიქტის წინაპირობა და მიზეზი:

- საჭიროა ზუსტად წარმოვაჩინოთ ყველა მხარის როგორც ლეგიტიმური ისე მცდარი უკმაყოფილება.
- უნდა გვახსოვდეს და უნდა შევახსენოთ მკითხველსაც, რომ უკმაყოფილება, თუნდაც მცდარი, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც კონფლიქტის გახანგრძლივების, ისე მისი მოგვარების თვალსაზრისით.

IV. ვალდებულება წარმოაჩინო ადამიანური მხარე:

- ვალდებულნი ვართ წარმოვაჩინოთ კონფლიქტის ნებისმიერ მხარეს მყოფი ადამიანების ტრავმა და პირადი ისტორიები დაბალანსებულად, პროფესიონალურად, ძალდატანების გარეშე.
- ეს ვალდებულება გვაქვს არა მარტო იმ ხალხის მიმართ, ვის ამბავსაც ვაშუქებთ, არამედ ჩვენი მკითხველის მიმართაც.

V. ვალდებულება გააშუქო სამშვიდობო ინიციატივები

- ვალდებულები ვართ გავაშუქოთ მშვიდობის დამყარებისა და მხარეების შერიგებისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი, იმავე მოცულობით რა მოცულობითაც ვაშუქებთ კონფლიქტის გამწვავებისკენ მიმართულ მცდელობებს.
- აქტიურად უნდა ვეძებოთ წყაროები მტრულად განწყობილ მხარეთა მიღმა, განსაკუთრებით კი ისეთი რომლებსაც აქვთ უნარი გასცდნენ მოვლენათა მარტივი, ბიპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს. ასეთი ჟურნალისტიკა აფართოებს საზოგადოების თვალსაწიერს და ზრდის ცოდნას კონფლიქტის შესახებ.
- ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე კონკრეტულ პოზიციას ვუჭერთ მხარს ან ვახდენთ „მშვიდობის პროპაგანდას“. უბრალოდ, უნდა მოხდეს როგორც სამშვიდობო ინიციატივების, ასევე ომის მომხრეთა ან წამქეზებელთა გაშუქება.

VI. ვალდებულება აღიარო საკუთარი გავლენა:

- ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის რასაც ჩვენ ვაშუქებთ გავლენას ახდენს, არა მხოლოდ კონფლიქტის მსვლელობაზე, არამედ ადამიანების ცხოვრებაზეც.
- ყოველთვის უნდა ვიყოთ ფხიზლად, რათა არ მოხდეს ჩვენი ბოროტად გამოყენება ერთი ან მეორე მხარის მიერ ომის ან ძალადობის წასაქეზებლად. მსგავსი შემთხვევების არსებობისას უნდა მოხდეს მათი გამოაშკარავება, როგორც მედიით მანიპულირების მცდელობა.